

მანანა ბუკია

**წელიწადის დროებისა და თვეების აღმნიშვნელი
ლექსიკა მეგრულ-ლაზურში**
(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

წელიწადის დროებისა და თვეების აღმნიშვნელი სახელები ოდინდელი ქართველური ლექსიკის კუთვნილებაა. მიუხედავად ამისა, მეგრულ-ლაზურში გვხვდება ერთი მხრივ, გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად სახელდებული ფორმები, მეორე მხრივ, ნასესხები ლექსიკა. საყოველთაოდ ცნობილია უცხო ენათა (ძირითადად ბერძნულისა და თურქულის) გავლენა ლაზურზე, რაც ისტორიული გარემოებებითაა გაპირობებული. ცოცხალ მეტყველებასა და დოკუმენტირებულ ტექსტებში ხშირად გვხვდება ორენოვანი სინონიმები, ასევე ჰიბრიდული კომპოზიციები. გამოყენების სიხშირულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ თურქული ლექსიკა სჭარბობს ლაზურს. მეორე მხრივ, თვეების აღმნიშვნელ ლაზურ ლექსიკაში გვხვდება ქართველური (resp. ზანური) ფორმები, რომლებიც მეგრულმა უკვე დაკარგა. მეგრულში უხვად არის წარმოდგენილი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები და ქართული სალიტერატურო ენის გავლენა იგრძნობა.

გასაკვირია, მაგრამ წელიწადის ყველაზე ლამაზი დრო და მასში შემავალი თვეების სახელები ლაზურში მწირადაა წარმოდგენილი:

გაზაფხულის აღსანიშნავად ლაზურში გამოყენებულია თურქული **ილქბეჰარი** (თურქ. ilkbahar) გაზაფხული: **ილქბეჰარიშენ** მუთუ ბზოპონ-ი? „გაზაფხულისათვის რამეს ვამბობ?“ (ჩიქობავა 1929: 19), თუმცა მის გამოყენებას შეზღუდული ხასიათი აქვს. ძირითადად გვხვდება ორენოვანი კომპოზიტი: **ფუქრინაორა / ფუქრიონა: ფუქრინაორა** გინთანუ „გაზაფხული გაითენა“ (ფოიერშტაინი 2000: 120), არ ფუქურიქ **ფუქრინორა** ვა იქომს „ერთი ყვავილი გაზაფხულს არ იზამს“ (კარტოზია 1972: 228). **ფუქრი / ფუქური** ლაზურად „ყვავილია“, **ორა** (ბერძ. ὄρα) კი „დროის“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა.

მეგრულში გაზაფხულის აღსანიშნავად გამოიყენება ქართულ-ზანური **გაზაფხული / გაზარხული / გაზარხული** (ციფშიძე 1914: 228). აგრეთვე საკუთრივ მეგრული **გიშულირი / გუშულირი**, მიმღეობური ფორმა ზედმიწევნით „გამოსულს“ ნიშნავს. მათ პარალელურად მთიან სამეგრელოში გვხვდება აფხაზურიდან შეთვისებული **აფუნი** (ციფშიძე 1914: 197), რომელსაც გამსესხებელ ენაში

აფუნ ფორმა აქვს და „გაზაფხულს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 6). არძომ უსქვამაში **აფუნი** ენიე, – უწია (ხუბუა 1937: 221) „ყველაზე ლამაზი („ულამაზესი“) გაზაფხულიაო, – უთხარიო“. აფუნი აქტიური ფორმაა მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში და ნიშნავს საქონლის გარეკვის დროს საზაფხულო სამოვრებზე: **აფუნქ** ქიდიჭყუ „საქონლის გარეკვის დრო დადგა“ (წალენჯ.), „ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ აფუნის (მთაზე ცხვრის გარეკის დრო) დროს ტბას ნაპირად მატყლი გამოჰქონდა“ (სახოკია 1985: 376). ეთნოგრაფი იქვე განმარტავს: **აფუნი** „ცხვრის მთაზე გარეკვის დრო“ (იქვე, 363), ამ ლექსემიდან ნაწარმოები **აფუნობა** ნიშნავს „საგაზაფხულო საქონლის გარეკვას სამოვარზე“ (ელიავა 1997: 21) – მოლულუნებს **აფუნობა**, რინა წიმი მინჭუაფუ „მოლულუნებს გაზაფხული, ცხოვრება წინ მირბის“ (ქხს 2016: 418) **საფუნო** „საზაფხულო სამოვარი მთაში, ე. ი. აფუნობის დროის სამოვარი მთის ზონაში“ (სახოკია 1985: 285).

ადრეული გაზაფხულის აღსანიშნავად გამოიყენება **მარტი**-ძირის შემცველი **გამარტება** (ქობალია 2010: 75) – **გამარტებას** პურასკია ძვირფასი ეიოჟოთამალიე „მარტის დასაწყისში („გამარტებას“) პრასი კარგი („ძვირფასი“) ამოსაღებია“ (ლოლა ნანა 2007: 309).

გაზაფხულის თვეები ლაზურში ნასესხები ლექსიკითაა წარმოდგენილი:

მარტი მარტი: **მარტიში** აღანი დღას ოცხონის ეფულურან „მარტის ახალ დღეს სხვენზე (ჭერზე) ავლენ“ (ყიფშიძე 1939: 88).

აპილი / **არპილი** / **აპრილი** აპრილი: **აპრილიში** ხუთის ქოგ-ოჭკამან ოხაჩქუს ბერგითე „აპრილის ხუთში დაიწყებენ თესვას თოხით“ (ჩიქობავა 1936: 60).

მაესი / **მაისი** / **მაფესი** მაისი: ენა დეხტატუ-ჭკულე იკინასინტუ (ბრინჯიშ ოკინუ) არკათი **მაესიში** ეჩიშკულე „რომ ამოვიდოდა ამის შემდეგ გამარგლავდნენ (ბრინჯის გამარგვლა) მაისის ოცამდე“ (სარფი 2015: 701); **მაისიშ** ნდღას მამუდი ყონა გომალუშა იგზალუ „მაისის დღეს მამუდი ყანის გასამარგვლად წავიდა“ (ჩიქობავა 1929: 44).

მხოლოდ მაისის აღსანიშნავად გვხვდება ლაზური ფორმა **ფურქა** მაისი, „ყვავილობა“ (კარტოზია 2008: 80) და ზედმიწევნით „ყვავილობას“ ნიშნავს. საინტერესოა, რომ მეგრულშიც მაისის აღსანიშნავად მესი / მეესის გვერდით გვხვდება **გოპირუა** აყვავება, გაფურჩქნა; მაისი (იხ. ქვემოთ).

მეგრულში გაზაფხულის თვეების აღმნიშვნელი ფორმები ასეა წარმოდგენილი:

ლაზურის მსგავსად, მეგრულში მარტი ქართულიდან შეთვისებული **მარტი** ფორმით გადმოიცემა – **მარტიშ** კალამიაცალო გოხუ-

მაფილი „მარტის ღერივით (ჩალისა) გამხმარი“ (ქაჯაია 2002: 221). იმავე მნიშვნელობით გვაქვს კომპოზიტური წარმოების **მარტიშთუ-თა** მარტისთვე (ქობალია 2010: 391).

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ წარმოდგენილია მარტის აღმნიშვნელი მეტაფორული შესიტყვება **საბერტემ მაჭვალი** ზედმ. „თავხის დამწველი“ – მოულოდნელი სიცივე რომ თავხეს დააწვევინებს შემცივნულ კაცს (ქობალია 2010: 577).

აპრილის აღსანიშნავად, ლაზურის მსგავსად, მეგრულშიც ქართულიდან შეთვისებული **აპრილი / არპილი / აპრი** გვხვდება (ყიფშიძე 1914: 196) – თენა უკვე მაისში ოჭკომაიე ჭყვერტო, **აპრილს**, მაისის ოჭკომაიე „ეს უკვე მაისში საჭმელია ჭყინტად, აპრილში, მაისში საჭმელია“ (ლოლა ნანა 2007: 309); თხა **არპილიშ** თუთაშე იჭყანს ჭვალუას გერგებათუთაშახ „თხა აპრილის თვიდან იწყებს წველას გიორგობისთვემდე (ნოემბრამდე)“ (ქაჯაია 2001: 194); ვითოხუთის დაბადებული ვორექ დო ეჩდოვითაართი'დ თენა, **აპრიიშ** თუთა „თხუთმეტის დაბადებული ვარ და ოცდათერთმეტი იყო ეს, აპრილის თვე“ (ლოლა ნანა 2007: 23)

აპრილს აღნიშნავს აყვავებულის მნიშვნელობის **პირელი** „აყვავებული; ყვავილობისთვე, აპრილი“ (ქობალია 2010: 563), აგრეთვე **გოფალუა** (იქვე, 201), რაც „გაფურჩქენას, გაფოთვლას“ ნიშნავს.

მაისი ლაზურის მსგავსად მეგრულში გადმოცემულია **მესი / მეესი** ფორმით (ყიფშიძე 1914: 244) – თიმწკემა **მესიში** ვარდიცალო ჩქიმი გური გოპირანს (ქხს 2016: 372) „მაშინ მაისის ვარდივით ჩემი გული გაიფურჩქენბა“; **მეესიში** ჭვიმა ორქო რე (ყიფშიძე 1914: 181) „მაისის წვიმა ოქროა“. მის პარალელურად გვაქვს **გოპირუა** აყვავება, გაფურჩქენა; მაისი (ქობალია 2010: 194). შდრ. ლაზური **ფურქა** მაისი, „ყვავილობა“ (კარტოზია 2008: 80).

ზაფხული ლაზურში გადმოცემულია თურქული **აზი** (თურქ. yaz) ფორმით: არ **აზი** ტუ ქონასი-ნა ბოგნი ამო „ერთი ზაფხული იყო ყანაში, რომ გავიგონე სიმღერა ამო“ (ჟღენტი 1938: 154), პარალელურად გვხვდება ლაზური **მაფხა** „სიცხის“ შემცველი ორენოვანი კომპოზიტი **მაფხაორა** ზაფხული (ლაზეთი 2015: 404), რომელიც ზედმიწევნით „სიცხის დროს“ ნიშნავს.

მეგრულში ზაფხულის აღსანიშნავად გამოყენებულია **ზაფხული / ზარხული / ზარხულა / ბზარხული**: ენა მუჭო წილუნქენი, ევალუნს დო ირიათო რე თენა: ზოთონს დო **ზაფხულს** „ამას როგორც მოკრეფ, ამოდის და ყოველთვის არის, ზამთარში და ზაფხულში“ (ლოლა ნანა 2007: 309) თიმ დღას ეთხიებუ ზოთონჯი **ზარხულს** „იმ დღეს ეთხოვება ზამთარი ზაფხულს“ (ქხს 2016: 146); **ზარხულას** გვალაშა მემირაყუნა ორინჯი „ზაფხულში მთაში მივერეკებით საქონელს“ (ქაჯაია 2002: 12); **ბზარხულს** მოჩხუპენა გოლოფა (ყიფშიძე

1914: 162) „ზაფხულში გვეჩხუბება გვალვა“.

პ. ჭარაია ერთმანეთს უკავშირებს ქართულ **ზაფხულ-ი**, მეგრ. **ზარხულ-ი**, **ზზარხულ-ი**, სვან. **ლუფხუ**, აფხაზ. **აფხგენ** ფორმებს (ჭარაია 1912: 35-37). არნ. ჩიქობავას ამ რიგში შემოჰყავს ლაზური **მაფხა** „დარი, სიციხე“ (ჩიქობავა 2008: 195).

ივნისის ლაზური სახელია **ბულიშთუთა** ივნისი, ზედმ. „ბლის თვე“ – ჩქი ბზოპონთ ლაზური **ბულიშთუთა** „ჩვენ ვამბობთ ლაზურად ბლის თვე“ (ასათიანი 1974: 164), **ბულოზა** ბლოზა; ივნისი.

ლაზურში ხშირად გვხვდება იმავე მნიშვნელობის თურქული **ქეეზაი / ქერეზაი / ქერეზარი / ქეერეზაი / ჩირეზაი** (თურქ. kirezay) ივნისი: „ენა ძეხტატუ-ჭკულე იკინასინტუ (ბრინჯიმ ოკინუ) არკათი მავსიში ეჩიშკულე, მაჟვაა – კათი **ქეეზაიში** ჩოდინაფაშა „რომ ამოვიდოდა ამის შემდეგ გამარგლავდენ (ბრინჯის გამარგვლა) მაისის ოცამდე, მეორედ – ივნისის დამთავრებამდე“ (სარფი 2015: 701); დეს-თანნი ბჭარი **ქერეზარი** ტუ „ლექსად დავწერე, მაშინ ივნისი იყო“ (ჩიქობავა 1936: 85). თურქულად kiraz „ალუბალია“, ay კი თვე.

სხვა სიტყვებით, ლაზური **ბულიშთუთა** და თურქული **kirezay** ეტიმოლოგიურად და სტრუქტურულად ერთმანეთს ემთხვევა. ივნისის ერთ-ერთი სახელი მეგრულშიც ბალს უკავშირდება: **ბულოზა** ბლოზა, ბლის მწიფობის ჟამი; ივნისი (ქობალია 2010: 68).

ივლისის აღსანიშნავად სარფულში იყენებენ ქართულიდან ნასესხებ **ივლის-ს**: **ივლისიში** მწკოს დაღური მწკო ვუწუმეთ „ივლისის წყავს ტყის წყავს ვეძახით“ (სარფი 2015: 712).

გვხვდება თურქული **ჩურუდაი / ჩურუქ / ჩუუდაი**: მჩხუი მაისის ღვანჭუფან დო **ჩუუდაისთი** ღვანჭუფ „ცხვარს მაისში კრეჭენ და ივლისშიც კრეჭენ“ (სარფი 2015: 739). თურქული **çürükay** კომპოზიტია და ზედმიწევნით „დამპალ თვეს“ ნიშნავს: **çürük** „დამპალი“, **ay** „თვე“.

თურქული კომპოზიტის პარალელურად გვხვდება ზუსტად იმავე სემანტიკის ლაზური სინტაგმა **ქცაფერი თუთა** „დამპალი თვე“ (ქუთელია 2005: 297), **ხცალა თუთა** „ლპობა თვე“ (თანდილავა 2013: 891).

შეიძლება ლაზური ფორმა თურქულის კალკად ჩაგვეთვალა, რომ არა ივლისის აღმნიშვნელი მეგრული **სორადილი თუთა** „დამპალი თვე“, რომელიც ტრადიციული **კვირკვე**-ს პარალელურად გვხვდება. ივლისი აღმნიშვნელ ტერმინში ლპობის აღსანიშნავი სიტყვის გამოყენების ქართულ წარმოშობას მხარს უჭერს ქართული დიალექტური მასალაც (**ჩოხადამპალა** „ივლისი“ – კახურ დიალექტში).

ავგისტოს მნიშვნელობა ლაზურში გადმოცემულია ბერძნული წარმოშობის **Αύγουστος** („ავგისტო“) სიტყვით, რომელიც ფონეტიკური ვარიანტების სახით გვხვდება: **აგუსტე / აღუსთოზი / აღუს-**

ტე აგვისტო: „წანადანი, კუჭულაჲ, მარტი, აპრილი, მაისი, ქირეზაჲ, ჩურულაჲ, **აგუსტე (ალუსტოზი)** – იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო (ჩიქობავა 1936: 70); **ალუსტოზი** ქომოხთუ „აგვისტო მოვიდა“ (ჩიქობავა 1936: 54); **ალუსტოზი** შქითის ათმაჯას გელუხედუნ „აგვისტოს შვიდში მიმინოს ჩაუჯდეზიან“ (ქლენტი 1938: 153); „თუთაფე: წანა-ალანი, კუჭულაჲ (ჭუტათუთა), მარტი, აპრილი, მაისი, ბულოზა (ქირეზაი), ტურკეში, **ალუსტე**, სტაროშინა, გუმათუთა, სთველი, ხისტანა“ (ჩიქობავა 1936: 77). ბერძნული ფორმა, რომელიც ასევეა შენარჩუნებული თურქულში (Ağustos) კონკურენციას უწევს საკუთრივ ლაზურ (resp. ზანურ) სიტყვას **მააშინა** / **მააშინა** / **მარაშინა** / **მარიაშინა** / **მარიოშინა** – აჲა აშო დიყუ ალუსტოში, **მააშინაში**, ლაზური აშო ზოპონან, მააშინაში ახის „ეს ასე მოხდა („იქნა“) აგვისტოში, მააშინაში, ლაზურად ასე ამბობენ, მარიამობის თვის ბოლოს“ (კალანდია 2008: 23); რაკანის ქებთუდორენ თუთა **მარაშინაში** „ფერდობზე ამოსულა მთვარე აგვისტოსი“ (ქლენტი 1938: 172); რაკანის ქემუხტიმუნ თუთა **მარიაშინაში** „ფერდობზე ამოსულა მთვარე მარიობისა“ (ყიფშიძე 1939: 23) სიტყვას, რომელიც გამჭვირვალე სემანტიკის მატარებელია და **მარიაში შინა**-ს „მარიამის ხსენებას“ ნიშნავს. უკავშირდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს (შდრ. მეგრული **მარაშინა (თუთა)** მარიამობის თვე, აგვისტო (ქაჯაია 2002: 216). ხსენების / გახსენების აღმნიშვნელი **შინა** ლაზურში თვეების აღმნიშვნელ სხვა კომპოზიტებშიც გვხვდება.

ზაფხულის თვეები მეგრულში ასეა წარმოდგენილი:

ივანობა / **ივანობათუთა** „ივნისი“ (ყიფშიძე 1914: 244) – თიმ წანაშ **ივანობასე** მოლაბრთი მუხურიშა დო გეკუაყუნი ოცინდალეში ოხვამეშა (ქხს 2016: 74) „იმ წლის ივნისში წამოვედი მუხურში და აყევი ოცინდალეს სალოცავში“.

თვეს სახელი ჰქვია წმ. იოანე წინასწარმეტყველის საპატივცემლოდ (ხსენება 25 ივნისს). ივნისის აღსანიშნავად **ივანობა** / **ივანობითვე** / **ივანობისთვე** / **ივანობითუე** გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც (www.corpora.co).

ივნისის პირველ დეკადას მეგრულში **კუნტა მესი** ჰქვია (ქობალია 2010: 375) ზედმიწევნით ნიშნავს „მოკლე მაისს“. გადმოცემით, ამ დროს თესავენ საგვიანო სიმინდს.

ივლისი ივნისის მსგავსად ქრისტიანული წმინდანის სახელით აღინიშნება: **კვირკვე** / **კვირკვე** / **კვირკვეშთუთა** წმიდა დიდმოწამე კვირიკეს სახელს უკავშირდება (ხსენება 15 / 28 ივლისს) – დობარგნდგნი უკული, ივანობაში დალიას, **კვირკვეში** მინულაშაზ „გათოხნიდა მერე, ივნისის დასასწაულს, ივლისის შემოსვლამდე“ (ლოლა ნანა 2007: 295). ასევე ეწოდება ამ თვეს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: **კვირკობა** / **კვირკობისთვე** / **კვირკობისთვე**

(www.corpora.co).

ივლისს **მენძორე თუთასაც** ემახიან (ქობალია 2010: 407), **მენძორე** „ლეშიჭამია“ მეგრულად. ამ თვეს დიდი სიცხეები იცის და ლეში სწრაფად ყროლდება.

გარდა ამ სიტყვებისა, მეგრულში ივლისის აღსანიშნავად გამოიყენება სინტაგმა **ცორადილი თუთა** „დამპალი თვე“ (იხ. ზემოთ).

აგვისტო მეგრულში ლაზურის მსგავსად ბერძნული წარმოშობის **არგუსო** სიტყვით გადმოიცემა – არგუსოს ხოფო ითასუე, მუჭო **არგუსოს** იყონუე ოცონალინი, თეში „აგვისტომიც ითესება, როგორც აგვისტოში იმენობა დასამენობი, ისე“ (ლოლა ნანა 2007: 311).

პარალელურად გვხვდება მარიამობისთვის მეგრული შესატყვისი **მარაშინა თუთა / მარაშონა** (ყიფშიძე 1914: 244), ზედმ. „მარიამის ხსენების თვე“ (შდრ. ლაზ. **მააშინა / მაააშინა / მარაშინა**) – თიქ დღას ვამაჭოფუ დო, უმაჭოფუ არგუსოში უკული, **მარაშონაში** უკული-და, თის ოკო უხვამენი ხოლო „თუ დავიჭირე აგვისტოს შემდეგ, მარიამობის შემდეგ, იმასაც უნდა გამოვულოცო“ (ლოლა ნანა 2007: 330).

შემოდგომის აღსანიშნავად ლაზური იყენებს ძველ ქართულში კარგად ცნობილი **სთველ-** ფუძის ფონეტიკურ ვარიანტებს: **სთველი / სთუელი / სტველი** და მისგან ნაწარმოებ **სტველობა / მსთველობა** ფორმებს – **სთველის** ხარმანი პტახუფთ „შემოდგომაზე კალოს (სიმიდს) ვტეხთ“ (ჩიქობავა 1936: 135); გეთასულეში ძერი **მსთველობას** დულაფე ნა-იჩოდას, დულაფე ნა-მუისვარან ემახთის ხაზირუფან „სანერგე (სათესლე) ადგილს შემოდგომაზე, საქმეები რომ გათავდება, საქმეებს რომ მოითავებენ, იმ დროს ამზადებენ (სარფი 2015: 690). მას ლაზურში პირველადი, ამოსავალი სემანტიკაც შენარჩუნებული აქვს: **სთველიშა** ბიჩალიში „რთველამდე ვიმუშავე“ (ჩიქობავა 1936: 81). **სთველი** სიტყვა გვხვდება ლაზურ-ბერძნული კომპოზიტის ნაწილადაც: **სთველორა** (ლაზეთი 2015: 404), რომელიც ზედმიწევნით „შემოდგომის დროს“ ნიშნავს. არნ. ჩიქობავა **სთველს** უკავშირებს „გაწყდომის, გასხლტომის“ აღმნიშვნელ **სთვ-** ძირს და მიიჩნევს, რომ ეტიმოლოგიურად „მოწყდომას“ და „მოწყვეტას“ გულისხმობს (ჩიქობავა 2008: 307).

ამ ფორმების პარალელურად აქტიურად გვხვდება თურქული **გაუზი** (güz): უკუღე მუინჭასენ **გაუზის** „მერე უნდა დამწიფდეს შემოდგომაზე“ (ჩიქობავა 1936: 3). თურქული სიტყვა, გარდა წელიწადის დროის აღმნიშვნელი სიტყვისა, გამოყენებულია შემოდგომის თვეების სახელწოდებებში (იხ. ქვემოთ).

შემოდგომის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს **დამორჩილი** – თენა რე **დამორჩილი**, ჩხურუ ვარე, პატრიჟანი შემოლეული რენ,

ფერ დროს „ეს არის შემოდგომა, სიცივე არ არის, ბადრიჯანი მოლეული რომ არის, ისეთ დროს“ (ლოლა ნანა 2007: 225). ი. ყიფშიძე **დამორჩილ**-ს უკავშირებს ქართულ დამორჩვას, რომელიც გულისხმობს მორჩის, ტოტის დაცლას ფოთლებისაგან (ყიფშიძე 1914: 228). გ. როგავას ვარაუდით **დამორჩილი** არის **დღა-მორჩილი** დღე-მოკლე (როგავა 1965: 189).

ო. ქაჯაიას ლექსიკონში შემოდგომის მნიშვნელობით წარმოდგენილია **მუჟღირი – მუჟღირქ** ქიდიჭყუა „შემოდგომა დაიწყოს“ (ქაჯაია 2002: 338). ლექსიკოგრაფი თვლის, რომ სიტყვა უკავშირდება ჭკნობის მნიშვნელობის მეგრულ **ჟღირუა**-ს. ვთვლით, რომ **მუჟღირი** არის სვანურიდან ნასესხები ფორმა. შდრ. სვანური **მუჟღჷერ** „შემოდგომა“ (თოფურია 2000: 577).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრულში შემოდგომის აღსანიშნავად გვაქვს ლაზური **ტახვა**-ს შესატყვისი მეგრული **ტახუა / გიმატახუა** შემოდგომა, სიმინდის ტეხვის დრო – ასე **გიმატახუა** რე(ნ) „ახლა შემოდგომაა (ტეხვის დრო)“ (ქაჯაია 2001: 341).

შემოდგომის მნიშვნელობით გამოყენებულია **ეჭოფუა** (ქაჯაია 2001: 575), რომელიც „აღებას“ ნიშნავს. გულისხმობს მოსავლის აღებას, ასევე **გორინა / გორინი**, ზედმ. „დგომა“.

გვიანი შემოდგომის აღსანიშნავად მეგრული იყენებს სინტაგმებს **დამორჩილიშ გინულა** (ქობალია 2010: 234), ზედმ. „შემოდგომის გადასვლა“, **ღერიშ კორობუა** ზედმ. „[სიმინდის] ღეროების აკრეფა“ (ქობალია 2010: 642), **ცვანაშე გიშულა ბორჯი** ზედმ. „ყანიდან გასვლის დრო“ (ქობალია 2010: 654).

სექტემბერი ლაზურში გადმოიცემა **ჩხალვა** სიტყვით (თანდილავა 2013: 842). **ონჩხალუ** „რეკვას, ბერტყვას“ ნიშნავს: ჟინ კაკალი **ნჩხალუფან** „ზევით ნიგოზს რეკენ (რეკავენ), ბერტყავენ“ ამ სიტყვასთან ახლოს დგას **ონჩხვარე** (ვანილიში 1964: 80) / **ონჩხვარუ** ლეწვა, ცეხვა – კალათითე ქოგილამან დო **დონჩხვარუმან** „გოდრით ჩამოიტანებენ და დაფშვნიან“ (ყიფშიძე 1939: 75), პალოფეთენ **დომჩხვარუმთ** „დიდი ჯოხებით დავფშვნიით (დავტეხავთ)“ (ჩიქობავა 1929: 136). აზრობრივად ორივე მნიშვნელობა შეიძლება დაუკავშირდეს სექტემბერს. ზოგადად, შემოდგომის თვეების აღმნიშვნელი მეგრულ-ლაზური სიტყვები სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს უკავშირდება.

საკუთრივ ლაზური ფორმის გვერდით გვხვდება თურქული კომპოზიტები **ეველგაფუზ** (არაბ.-თურქ. evelgüz) სექტემბერი, ზედმ. „პირველი შემოდგომა“ (ჯიქია 1975: 64) და **იჭთიგაფუზი** სექტემბერი (ასათიანი 1974: 137), რომლებიც ზედმიწევნით „პირველ შემოდგომას“ ნიშნავს. შემოდგომის სემანტიკის **გაფუზი** გვხვდება სექტემბრის აღმნიშვნელ ორენოვან კომპოზიტში **იჭთისთველი** „პირველი შემოდგომა“ (ჩიქობავა 1929: 160).

ლაზური და თურქული ფორმების გვერდით გვხვდება ბერძნული წარმოშობის **ეკენია** (ჩიქობავა 1939: 70). შდრ. მეგრული **ეკენია** ენკენისთვე, სექტემბერი (ქობალაია 2010: 270).

სექტემბრის აღმნიშვნელი კიდევ ერთი სიტყვაა: **სტაროშინა / სტოროშინა** სექტემბერი (ჩიქობავა 1936: 70, 75). სიტყვის მეორე ნაწილი ზანურ **შინა**-ს უკავშირდება, რაც „ხსენებას, ხსოვნას“ ნიშნავს. პირველი ნაწილი ბერძნულია, **Σταυρός** „ჯვარს“ ნიშნავს. 14 (27) სექტემბერს აღნიშნება ჯვართამაღლების დღესასწაული. სექტემბრის აღმნიშვნელმა ლაზურმა **სტაროშინა / სტოროშინა**-მ შემოინახა ლაზთა ქრისტიანული წარსულის კვალი.

ოქტომბრის აღმნიშვნელია ლაზური (resp. ზანური) **გიმუ / გიმუა / გუმა / გუმათუთა** „მკათათვე“. იგივე სიტყვა გვაქვს მეგრულში: **გიმათუთა / გუმათუთა / გგმათუთა / გიმუა თუთა / გიმუაში თუთა**. ამ თვეში ტეხდნენ, მკიდნენ ღომს – სადარაჯოს გეურეთ **გიმათუთაში** ნაშიბუს: „დარაჯად უდგახართ ოქტომბრის მონაპოვარს. იხ. გიმუა“ (ქაჯაია 2001: 340).

სინონიმად გვაქვს ზანურივე **ტახვა / ტახვათუთა**, რომელიც „ტეხვას, ტეხვის თვეს“ ნიშნავს – **ტახვა თუთას** დოტახუმან „ტეხვის თვეში (ოქტომბერში) მოტეხავენ“ (ყიფშიძე 1939: 75). ეს ფორმა მეგრულსაც აქვს გამოყენებული, ოღონდ შემოდგომის მნიშვნელობით: **გიმატახუა** შემოდგომა, სიმინდის ტეხვის დრო (ქაჯაია 2001: 341), **ტახუა ბორჯი** სიმინდის ტეხის დრო, გვიანი შემოდგომა (ქობალაია 2010: 601).

ლაზურში ოქტომბრის აღმნიშვნელი ზანური სიტყვების პარალელურად წარმოდგენილია თურქული კომპოზიტი **ორთაგაუზი** ოქტომბერი, ზედმ. „შუა შემოდგომა“ (ჯიქია 1975: 64) და ჰიბრიდული **ორთასთველი** ოქტომბერი (ჯიქია 1975: 64), სადაც პირველი ნაწილი თურქული **orta** „შუა“, მეორე კი ქართველური **სთველი** = რთველი.

ნოემბრის თვე ლაზურში აღინიშნება ქართულიდან შეთვისებული **ნოემბერ**-ით, ასევე ზანური **წილვა** ფორმით, რაც „კრეფას“ ნიშნავს – **ოწილუ** მოწყვეტა ხილის, დაკრეფა – კატა-წანას უშქურ დივიქ მიფხორნან, არ წანას ვარ **მაწილეს**, მუფერ უშქურ იჩანენ ჰე-თ ვარ მიჩქინან „ყოველ წელს ვაშლს დევი გვიჭამს, ერთ წელსაც ვერ დავკრეფთ, როგორი ვაშლი გვიდგას, ეგეც არ ვიცით“ (დიუმეზილი 2009: 62).

გარდა ამ ფორმებისა, ლაზურში ხშირად გამოიყენება თურქული **ახირგაუზი** ნოემბერი, ზედმ. „ბოლო შემოდგომა“ (ჯიქია 1975: 64) და ორენოვანი კომპოზიტები **ახირსთველი / სოღუნსთველი**, ზედმ. „ბოლო შემოდგომა“ (ჯიქია 1975: 64).

მეგრულში სექტემბრის აღმნიშვნელი ეკენია-ს გვერდით გვხვდება **ღვარალა თუთა**. ი. ყიფშიძის განმარტებით, **ღვარალა თუ-**

თა-ს ემახიან მწყემსები სექტემბერს, რადგან ამ თვეში იცის ხშირი წვიმები (**ღვარი**) და ისინი იძულებული არიან, დატოვონ საზაფხულო საძოვრები (ყიფშიძე 1914: 244). თ. სახოკიას მოჰყავს სექტემბრის აღმნიშვნელი სინტაგმის ქართული შესატყვისი: **ღვარობისთვე** – [ბოშიმ] **ღვარობისთვეს** ცხვარი ბარად ჩამორეკა, გაკრიჭა (სახოკია 1985: 375).

ოქტომბრის აღსანიშნავად გამოიყენება მარტივი **გიმუა** / **გემუა** და კომპოზიტი **გიმათუთა** / **გუმათუთა** / **გემათუთა** „ლომის თავთავის მოტეხა, მოწყვეტა (მოჭრა), {მო}მკა“, ოქტომბრის აღმნიშვნელი მეგრულ-ლაზური სიტყვა ზედმიწევნით „მკათათვეს“, უფრო ზუსტად, „ცეხვის თვეს“ ნიშნავს.

ნოემბერი მეგრულად არის **გერგებათუთა** / **გერგობათუთა** (ყიფშიძე 1914: 244), ზედმიწევნით „გიორგობისთვე“ – წმინდა გიორგიმ ხატი აშო გეგმასვანჯეს დო ხატიში გიმასვანჯაფაში დღასგ, ჯვეშით ვით **გერგებათუთასგ**, აღნიშნენა გიორგობას (ქხს 2016: 318) „წმინდა გიორგის ხატი აქეთ გამოასვენეს და ხატის გამოსვენების დღეს, ძველი სტილით („ძველით“) ათ გიორგობათვეს აღნიშნავენ გიორგობას“.

ზამთარი ლაზურში სიცივის, ყინვის აღმნიშვნელი საერთო-ქართველური **ყინვა** / **ყინობა** / **ყინი** / **ინვა** ფორმებით – **ინვაში** თუთაფე რენან: ხრისტანა, წანაღანი დო კუნდურა „ზამთრის თვეებია: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი“ (ფოიერშტაინი 2000: 59); **ყინობა** მოხთუში დიდო დიდი მთვირი დომთუ „ზამთარი რომ მოვიდა ძალიან, ძალიან გათოვდა“ (სარფი 2015: 604).

საინტერესოა, რომ 2018 წელს გამოცემულ ნ. კაკაბაძის ლაზურ ტექსტებში პირველად გვხვდება ქართული **ზამთარ-ი** : მეგრული **ზოთონჯ-ი** : სვან **ზაჲ**-ს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 206) შესატყვისი ლაზური **ზონთო**: ჩქინ მილუნან ყოროფა ნოლაშენ ოფუტეშა, აწი თი გევუჩანათ **ზონთო** მოხთიმაფაშა „ჩვენ გვაქვს სიყვარული ქალაქიდან სოფლამდე, ახლა თავი მოვაბათ ზამთრის მოსვლამდე“ (კაკაბაძე 2018: 191).

გარდა ქართველური ფორმებისა, ლაზურში აქტიურად გვხვდება თურქული **კიში** (kiş): **კიში** მოხთაის, **ყინი** გმ/ჯოლას-სის... ოკაჩხე ვაგონი დოხოძუ „ზამთარი რომ მოვა, სიცივე რომ ჩამოვარდება, მერე ვაგონი გაშრება“ (ჩიქობავა 1936: 105); **კიში** დოდგითუ „ზამთარი დადგა“ (ჩიქობავა 1929: 43).

ზამთარი მეგრულში გადმოცემულია საერთოქართველური **ზოთონჯი** / **ზოთონჯი** / **ზოთონი** ფორმით. **ზოთონჯ**-ში **ბ**- განვითარებულია – **ზოთონც** თგრი მოჩხუპუნა, **ზზარხულს** მოჩხუპუნა გოლოფა (ყიფშიძე 1914: 162) „ზამთარში თოვლი გვებრძვის (გვეჩხუბება), ზაფხულში გვებრძვის გვალვა“; **ზოთონჯი** მირტებუ, დუს

იტყობინუანს (ქხს 2016: 418) „ზამთარი მირბის, თავს იმაღავს“; მან-გარ **ზოთონც** ჯგირი ზარხული მოყუნცია „მაგარ ზამთარს კარგი ზაფხული მოჰყვებო“ (სიბრძნე 1994: 82).

ზამთრის დადგომას გამოხატავს მასდარი **დაზოთება**, ზედმ. „დაზამთრება“ და კომპოზიტი **ზოთონპიჯი**, ზედმ. „ზამთრისპირი“ (ქობალაია 2010: 233, 310).

მძიმე ზამთრის, დიდთოვლობის აღსანიშნავად ზემოთ მითითებული შესიტყვებების გარდა (**უჩა ზოთონჯი** „შავი ზამთარი“; **უბადო ზოთონჯი** „მძიმე ზამთარი, დიდთოვლობა“) გვხვდება **გერანი / გერანუა** – სორე ჩხურუ **გერანიში** „სადაა ცივი ზამთრის სიცივე“ (ფიფია 2014: 37). ეს სიტყვა ზედმიწევნით მძლავრს, გადამეტებულს, ჭარბს ნიშნავს (ქობალაია 2010: 94), თუმცა მეგრულ მეტყველებაში ძირითადად ცივ ზამთართან ასოცირდება.

დეკემბრის თვის აღსანიშნავად ლაზურში ძირითადად გამოყენებულია ბერძნულიდან შეთვისებული **ხისანა / ხისთანა / ხისტანა / ხისტონა / ხისტონა / ხრისტა / ხრისტანა** (ბერძ. χριστιανία) დეკემბერი (მარი 1910: 234). იშვიათად გვხვდება ლაზური **ქრისტომინა** დეკემბერი (არონია 2010: 139), რომლის შემადგენელი ნაწილია ზანური **შინა** „ხსენება, ხსოვნა, გახსენება“. ეს უკანასკნელი ლაზური თვის აღმნიშვნელი რამდენიმე სახელის ნაწილია (**მარიაშინა, სტარომინა...** იხ. ზემოთ).

დეკემბრის აღსანიშნავად ერთგავნ გვხვდება თურქული **კარაკიში** (karakiş) – **კარაკიშიში** ეჩდონჩხოვროს სარფის პატი კალაში ბარუ „დეკემბრის ოცდაცხრაში სარფში ძლიერმა ქარმა იქროლა“ (ჩიქობავა 1929: 96). **კაკიში / კარაკიში** კომპოზიტია, ზედმიწევნით „შავ ზამთარს“ ნიშნავს და ზამთრის სუსხიანი დროის აღსანიშნავად გამოიყენება (ჯიქია 1975: 64), მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ის ნამდვილად დეკემბერს აღნიშნავს. საინტერესოა, რომ **ყარაყიში** ჩვენებურების ქართულშიც დეკემბრის მნიშვნელობით გამოიყენება (ფუტკარაძე 1993: 468). შდრ. მეგრ. **უჩა ზოთონჯი** „შავი ზამთარი“ (ყიფშიძე 1914: 161); **უბადო ზოთონჯი** მძიმე ზამთარი, დიდთოვლობა (ქობალაია 2010: 607).

იანვრის თვე ლაზურში გადმოიცემა ზანური შესიტყვებით **თუთა მორდერი** (მარი 1910: 148), **თუთა დიდი** იანვარი (კარტოზია 2008: 80) და ზედმიწევნით ნიშნავს „გაზრდილ თვეს“, „დიდ თვეს“. მათ გვერდით გვხვდება თურქული **ზემერი / ზემფერი** (თურქ. zember) იანვარი და **აენიილი** – **აენიილი**, გაუჯული, მარტი, აპრილი, ქერეზაი, ჩურღაი, აღუსთოზი, ეველგაუზი, ორთაგაუზი, კარაკიში... კაკიში „იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, დეკემბერი“ (ასათიანი 1974: 132).

თებერვლის აღმნიშვნელია ლაზური კომპოზიტი **ჭუტათუთა**

(ჩიქობავა 1936: 77), ზედმ. „პატარა თვე“.

ხშირად გვხვდება, სავარაუდოდ, ქართულიდან შეთვისებული ბერძნული წარმოშობის **თებერბალა**, **თეფერვალი**: **თეფერვალი**მ თუთა-ნა გეოჰკათ, მასი, ქერეზაიმა მთელი შეი ირგენ „თებერვლის თვეში რომ დავიწყებთ, მასი, ივნისი, ყველაფერი დაირგება“ (ასათიანი 1974: 132).

სიხშირულად თებერვლის აღსანიშნავად ლაზურში ყველაზე ხშირად გამოიყენება თურქული **გოუჯული** (თურქ. gücük) თებერვალი და მისი ფონეტიკური ვარიანტები **კუჭული** / **კუჭულამ** / **კუჭული** / **ჯუჯული** – **კუჭულამ** ქომოხთუ „თებერვალი მოვიდა“ (ჩიქობავა 1936: 80); **კუჭულის** გებოჰკე „თებერვალში დავიწყე“ (იქვე, 81).

სავარაუდოდ, ბერძნულიდანაა შეთვისებული თებერვლის აღმნიშვნელი **კონდურა** / **კუნდურა** / **კუნტურა** – ჩქუნი კულგინი გოინწყუ 1930 წ. 17 **კუნდურას** „ჩვენი კოლმეურნეობა გაიხსნა (დაარსდა) 1930 წ. 17 თებერვალს“ (ჟღენტი 1938: 102), **კუნდურაში** დღას აიშექ ქოჰოფუ მხური „თებერვლის დღეს აიშემ იყიდა ცხვარი“ (ჩიქობავა 1929: 104).

დეკემბრის აღსანიშნავად მეგრული ქართულის მსგავსად იყენებს კომპოზიტს **ქირსეთუთა** / **ქისეთუთა** (ყიფშიძე 1914: 244), ზედმ. „ქრისტეს თვე“ – ხაჯი ითასუ **ქირსეთუთას** „ცერცვი ითესება ქრისტეშობისთვის“ (ლოლა ნანა 2007: 309). გვაქვს ქართულიდან შეთვისებული **დეკემბერიც**.

იანვრის აღმნიშვნელი სიტყვა მეგრულს ქართულიდან აქვს შეთვისებული მცირედი ფონეტიკური ცვლილებით: **იანარი** – **იანარქე** მინიი დო ჟირ საჯენი დოთუუ „იანვარი შემოვიდა და ორი საჟენი მოთოვა“ (ლოლა ნანა 2007: 191).

თებერვალი მეგრულად **ფრევალი** / **ფრევაი** ფორმებით გადმოიცემა. იმავე მნიშვნელობისაა კომპოზიტი **ფურთუთა** (ქობალია 2010: 629), ზედმიწ. „ცუდი თვე“.

მითითებული ლიტერატურა

არონია 2010 – ი. არონია, კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში, თბილისი

ასათიანი 1974 – ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბილისი

დიუმეზილი 2009 – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბილისი

ელიავა 1997 – გ. ელიავა, მეგრული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი

ვანილიში 1964 – მ. ვანილიში, ა. თანდილავა – ლაზეთი, თბი-

ლისი

თანდილავა 2013 – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი

თოფურია 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი

კაკაბაძე 2018 – ნ. კაკაბაძე, ლაზური ტექსტები, თბილისი

კალანდია 2008 – თ. კალანდია, ლაზური ტექსტები, თბილისი

კარტოზია 1972 – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბილისი

კარტოზია 2008 – გ. კარტოზია, მეგრული და ლაზური ტექსტები, თბილისი

ლაზეთი 2015 – ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში, თბილისი

ლოლა ნანა 2007 – ლოლა ნანა, ეერია „ქალთა მეხსიერება“, თბილისი

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб.

ჟღენტი 1938 – ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი

როგავა 1965 – გ. როგავა, დეცესიურ-ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #2

სარფი 2015 – სარფი, ბათუმი

სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი

სიბრძნე 1994 – ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები რ. შეროზია და ო. მემიშიში, თბილისი

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი

ფიფია 2014 – დ. ფიფია, ბორჯი, თბილისი

ფოიერშტაინი 2000 – Wolfgang Feurstein, ლაზური-გერმანული-თურქული დიდი ნენა-ფონა, Handwörterbuch der Lasischen Sprache, Lasisch-Deutch-Türkisch-Georgisch, Kaukasus-Verlag

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 2, თბილისი

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი

ქუთელია 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სისტემა, თბილისი

ქს 2016 – ქართველური ხალხური სიტყვიერება (ჩხოროწყუს რაიონი), წიგნი გამოსაცემად მოამზადა ა. ლომთაძემ, თბილისი

ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского

(иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-ПБ
ყიფშიძე 1939 – ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფილისი
ჩიქობავა 1929 – არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები (ხოფური კი-
ლოკავი), ტფილისი
ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალი-
ზი ტექსტებითურთ, თბილისი
ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IV, ჭანურ-მე-
გრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი
ხუბუა 1937 – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი
ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении абхазского языка к
яфетическим, МЯЯ, IV, С.-ПБ
ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი,
თბილისი
ჯიქია 1975 – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთი-
ერთობიდან. 4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურ-
ში. თსუ შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 164. თბილისი

Manana Bukia

Seasons and Months in Megrelian-Laz Vocabulary (Structural-Semantic Analysis)

In megrelian-Laz the group of the vocabulary that include
Names of season and months is quite diverse.

The paper discusses more than 170 word-forms, compounds and
syntagms. A large part is common for Megrelian and Laz another part
of forms is restored on the level of the Common Kartvelian linguistic
unity. In Laz the abundance of Turkish borrowings is apparent. The word-
forms in a figurative sense are found vere often.

ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI, გვ. 14-29